



შპს „ენგურჰესის“ მიერ შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისია:

1. **გია ხუბუა** - შპს „ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ზვიად კილასონია** - შპს „ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;
3. **ვახტანგ მოლაშხია**-შპს „ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **რევაზ გვაგვალაია** - შპს „ენგურჰესის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

კომისიის აპარატი:

1. **მედეა კორსანტია** - შპს „ენგურჰესის“ იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;
2. **რომან ლავგილავა** - შპს „ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი;

შვებულებაში ყოფნის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. **ლევან მებონია** - შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. **იური შონია** - შპს „ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

N3 სასალტე შახტის სარემონტო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა N3 სასაღებულო შახტის სარემონტო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად დასახელდა: 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტიათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტიათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

გია ხუბუა

ტექნიკური დირექტორი



ზვიად კილასონია

ფინანსური დირექტორი

ვახტანგ მოლაშხია


შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

რევაზ გვაგვალა



საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

მედეა კორსანტია



იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ლაგვილავა



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი